საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოწახური

კოწახური

კოწახური (Berberis), მცენარეთა გვარი კოწახურისებრთა ოჯახიდან (Berberidaceae). გავრცელებულია ცენტრ. და სამხრ. ევროპაში, ყირიმში, ირანში, ჩრდ. ამერიკაში, აღმ. ციმბირში, კავკასიაში. კარგად იტანს სიცხესა და სიცივეს. ძირითადად მარადმწვანე ბუჩქია, იშვიათად – ხე. ფოთლები ელიფსურია, აქვს წითელი, მჟავე, წაგრძელებული ნაყოფი, სიგრძით 12 მმ-მდე. გამოიყენება მედიცინაში, ფოთლები და ნაყოფი – კულინარიაში.

საქართველოში გვხვდება ორი სახეობა: ჩვეულებრივი კ. (B. vulgaris L) ბუნებრივადაა გავრცელებული მთელ საქართველოში – ტყეებში, ბუჩქნარებში, მდელოებზე, ველებზე, ქვაღორღიანებზე, რიყეებზე და სხვა ადგილებში, ხოლო ქართული კ. (B. iberica Stev. & Fisch) რ-იც იშვიათად გვხვდება მხოლოდ აღმ. საქართველოში. დაცულია ვაშლოვნის ნაკრძალში. შეტანილია „წითელ ნუსხაში“.